F/c 11110

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. იანვრის 20 · № 2 · თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

6. საქართველოს სსრ და ა/კსფსრ ც. ა. კ-ისა და სახკომსაბჭოს მიერ საგზაო მეურნეობის მმართველობის დარგში გამოცემული ზოგიერთი დადგენილების შესახებ.

7. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების განაკვეთების შესახებ.

8. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ.

9. „საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების შესახებ“ გამოქვეყნებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აპრილის 23-ის დადგენილების განხორციელების საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

6. საქართველოს სსრ და ა/კსფსრ ც. ა. კ-ისა და სახკომსაბჭოს მიერ საგზაო მეურნეობის მმართველობის დარგში გამოცემული ზოგიერთი დადგენილების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 2 ნოემბრის დადგენილებისა „საგზაო მეურნეობის მმართველობის შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 22 აპრილის დადგენილებასთან დაკავშირებით, „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა შეცვლის თაობაზე“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 50, მუხ. 281), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 16 მარტის დადგენილებით დამტკიცებული დებულება სვანეთის გზის მშენებელი კომიტეტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 9, მუხ. 105);

2) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 23 დეკემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვისა და სანომრო ნიშნების გაცემის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. № 1, მუხ. 7);

3) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 22 ნოემბრის დადგენილება „საგზაო მშენებლობაში საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მონაწილეობისა და გზების დაცვის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 1, მუხ. 17);

4) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 22 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულება ბარმაქსიზ-ბოგდანოვკის გზატკეცილების მშენებლობის დამხმარე კომიტეტის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. № 1, მუხ. 16);

5) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 10 მარტის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული საუწყებათშორისო სატარიფო თათბირის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 11, მუხ. 109);

6) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 22 მაისის დადგენილება „შპაპანზიდვის ტრანსპორტის მუშაობის აღრიცხვისა და საგზაო ტრანსპორტის ორგანოებში სააღრიცხვო-საანგარიშო ცნობების წარდგენის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ № 14, მუხ. 134);

7) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 15 თებერვლის დადგენილება „საავტოტრანსპორტო საწარმოთათვის სატვირთო და სამგზავრო

გადაზიდვა-გადაყვანაზე ისეთი სასყიდლის გადახდევინების აკრძალვის შესახებ, რაც აღემატება საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის მიერ დამტკიცებულ ტარიფს“. (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 5, მუხ. 59);

ჱ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 26 თებერვლის დადგენილება „საგზაო მშენებლობაში საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მონაწილეობისა და გზების დაცვის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 22-ის დადგენილების მე-2 მუხლის განმარტების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 15, მუხ. 92);

9) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 26 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ გზატკეცილების, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქ. სსრ-ში) გამგებლობაში გადაცემის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 32, მუხ. 204).

II. შეტანილ იქნას ცვლილებები შემდეგ დადგენილებებში:

1) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 5 იანვრის დადგენილებაში „გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საგზაო ნაგებობების გაფუჭებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 3, მუხ. 38; № 9—10, მუხ. 108);

ა) 1 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ბ“) სარწყავი წყლის მიშვება გზის ვაკისზე, გარდა იმ ადგილებისა, რაც საამისოდ ნაჩვენებია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს ორგანოების მიერ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის“;

ბ) 3^1 და 6 მუხლებში სიტყვები: „გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან“ და „გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს“ შეცვლილ იქნას სიტყვებით: „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოსთან“ და „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს“;

გ) მე 6 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „ტრაქტორცენტრ“-თან შეთანხმებით“;

2) საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 30 აგვისტოს დადგენილებაში „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. № 16, მუხ. 256; 1931 წ. № 24, მუხ. 259; 1932 წ. № 13, მუხ. 109; 1933 წ. № 1, მუხ. 22; № 2, მუხ. 43; № 17, მუხ. 240):

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალოს I კარის მუხლები 3 და 6 შენიშვნით და აგრეთვე II კარი;

ბ) 9, 10 და 11 მუხლებში სიტყვები: „საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო", საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან შეთანხმებით" და „საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს" შეცვლილ იქნას სიტყვებით: „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველო" და „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ საგზაო სამმართველოს";

გ) 1 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „და აგრეთვე იმ ინსტრუქციის შესაბამისად, რასაც, აღნიშნული დებულების 28 მუხლის თანახმად გამოსცეს ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო";

დ) 9 მუხლის 2 აბზაცი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„9 (აბზ. 2) ეს დაყოფა შეტანილ იქნება განსაკუთრებულ განრიგებაში, რასაც დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და რაც გამოქვეყნებულ იქნება საყოველთაო ცნობისათვის";

3) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 21 მარტის დადგენილებაში „საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 7, მუხ. 77):

ა) I კარის 3 და 4 მუხლები, II კარის 11 მუხლი, აგრეთვე III და IV კარები ძალადაკარგულად ჩაითვალოს;

ბ) II კარის 1 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„1. შემოიღოს, როგორც სავალდებულო წესი, ავტომობილების გეგშიანი წინასწარი საფრთხილებელი რემონტი (№ 0, 1, 2, და 3) და აწარმოოს ეს რემონტი საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის სახელმძღვანელო მითითებათა შესაბამისად".

4) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 21 მარტის დადგენილებაში: „ავტოტრანსპორტის მომუშავეთა დაჯილდოების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 10, მუხ. 94):

ა) 2 მუხლის 3 და 4 აბზაცები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„2 (აბზ. 3 და 4) ავტომეუონეობანი აწესებენ საწვავი მასალის ხარჯვის სეზონობრივ ნორმებს გარბენის ერთ კილომეტრზე ინდივიდუალურად თვითეული მანქანისათვის, ამ მანქანის მარკისა და ტექნიკური მდგომარეობისა, გზებისა და კლიმატიური პირობების, სათბობი მასალის თვისებისა და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.

აღნიშნული ნორმების დაწესება მოხდება ტექნიკური ნორმების საფუძველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე, რაც იმ წესით იქნება დამტკიცებული, რომელიც ეათვალისწინებულია „კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშურ-გლეხური მილიციის მთავარი სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის დებულებით (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 36, მუხ. 318)";

ბ) 5 და 6 მუხლები ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

III. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე:

1) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 10 ნოემბრის დადგენილება „ა/კსფსრ ტერიტორიაზე არსებულ საავტომობილო მეურნეობათა მიერ ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოსათვის თავიანთი მუშაობის ანგარიშებისა და ცნობების წარდგენის შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. № 11, მუხ. 549; 1929 წ. № 14, მუხ. 112);

2) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 4 ივლისის დადგენილება „ავტო-ტრანსპორტის დარგში საჭირო ღონისძიებათა შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. № 12, მუხ. 149; 1929 წ. № 14, მუხ. 112);

3) „ა/კსფსრ გზატკეცილებისა და ყამირგზების დანაწილებისა და მათთვის მიჩნეული ზოლის ნორმების შესახებ" გამოცემული (ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 6 ივლისის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. № 13, მუხ. 165; 1929 წ. № 14, მუხ. 112) მე-5-11 მუხლები და აგრეთვე მე-17 მუხლის I ნაწილი;

4) ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. 19 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული დებულება ა/კსფსრ ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების მდგომარეობისა და შენახვისათვის საერთო ზედამხედველობის განხორციელების წესის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. № 19, მუხ. 216; 1929 წ. № 14, მუხ. 112);

5) ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 16 იანვრის დადგენილება „რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებისათვის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევის შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. № 2, მუხ. 22);

6) ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. 22 ივლისის დადგენილება „ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრასპორტის მთავარი სამმართველოსათვის სავალდებულო დადგენილებათა და ინსტრუქციათა გამოცემისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების უფლების მინიჭების შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. № 14, მუხ. 113; 1931 წ. № 2, მუხ. 15; № 17, მუხ. 200);

7) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 27 თებერვლის დადგენილება „ა/კსფსრ ტერიტორიაზე გზატკეცილებისა და ყამირგზების კვლევისა და პროექტების წესის შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. № 5, მუხ. 53);

8) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 23 მარტის დადგენილება „ა/კსფსრ ტერიტორიაზე საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საქმის გამგებელი ადგილობრივი ორგანოების მოწყობის შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 114);

9) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 23 მარტის დადგენილება „გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ორგანოების მიერ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ურელსო გზებზე განხორციელებული კაპიტალური მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. № 10, მუხ. 115);

10) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 20 ივნისის დადგენილება „ა/კსფსრ-ში ავტოტრანსპორტის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. № 12, მუხ. 135);

11) ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. 3 ივლისის დადგენილებით დამტკიცებული შრომის საგზაო ბეგარის დებულება (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. № 13, მუხ. 148; 1931 წ. № 2, მუხ. 16 და 17; 1932 წ. № 8, მუხ. 57; 1933 წ. № 20-21 მუხ. 169) 1 მუხლი შენიშვნითურთ, მე-2 მუხლი შენიშვნითურთ, მე-4, მე-6 მუხ. შენიშვნითურთ, მე-8, მე-12 მუხლი, მე-12[1], მე-14 შენიშვნითურთ, მე-16, მე-17 მუხლი შენიშვნითურთ, 21 მუხლი, 25 მუხლის მე-2 აბზაცი, 28 მუხლი, აგრეთვე მე-7 და მე-11 მუხლებში არსებული მინიშნება მე-6 მუხლზე;

12) ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 6 იანვრის დადგენილება „სპეციალური საგზაო ფონდების შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. № 2, მუხ. 14; № 7, მუხ. 79);

13) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 12 მარტის დადგენილება „რესპუბლიკური და ადგილობრივი საგზაო ორგანოების ძირითადი ფუნქციების შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. № 5, მუხ. 56);

14) ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. 26 ივლისის დადგენილება „ა/კსფსრ-ში გზათა მშენებლობისა და ავტოტრანსპორტის ძდგომარეობის და პერსპექტივის შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. № 14, მუხ. 170);

15) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 16 სექტემბრის დადგენილება „ავტო-მოტო-ტრანსპორტის აღნუსხვის შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. № 24, მუხ. 258);

16) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. 8 მარტის დადგენილებით დამტკიცებული დებულება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. № 8, მუხ. 60).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგი.**

1939 წ. იანვრის 8. № 46.
თბილისი.

7. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების განაკვეთების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილებულ იქნას წითელწყაროს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის შუადგომლობა და მე-4 მუხ. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 3 იანვრის დადგენილებისა „კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეების მეურნეობებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების ჩატარების შესახებ" (საქ. სსრ დად. კრ. 1939 წ. № 1 მუხ. 1) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

ახლად შექმნილ წითელწყაროს რაიონში დაწესდეს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გადასახდევინებელი გამოსაღების საშუალო განაკვეთები შემდეგი ოდენობით: კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც არა აქვთ გასუსახოგადოებული შემოსავალი—5 მანეთი; კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც აქვთ განუსაზოგადოებელი შემოსავალი—27 მანეთი; ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ არც მუშა პირუტყვი და არა აქვთ არც საბაზრო, არც არასამიწადმოქმედო შემოსავალი—წინანდელი წლის სასოფლო სამეურნეო გადასახადის თანხის 85%; ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც ჰყავთ მუშა პირუტყვი და აქვთ ან საბაზრო ან არასამიწადმოქმედო შემოსავალი—წინანდელი წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის 135%.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგი.

1939 წ. იანვრის 17. № 78
თბილისი.

---

8. სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1938 წ. 28 დეკემბრის დადგენილებისა „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დამტკიცდეს და 1939 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნას ინსტრუქცია სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1938 წ. 4 მარტს (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 8, მუხ. 30).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. იანვრის 21. № 92.
თბილისი.

ინსტრუქცია

სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ.

I. მიმართვა პენსიის დანიშვნისათვის.

1. განცხადება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიის დანიშვნის შესახებ (მოხუცებულობის, ინვალიდობის, წელთნამსახურობის გამო, შრომის გმირებისათვის და ოჯახის მარჩენალის დაკარგვის გამო) შეიტანება წერილობითი სახით უშუალოდ სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო ან სარაიონო განყოფილებაში გახმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. იმ პირებმა, რომლებიც პენსიისათვის მიმართავენ, უნდა წარადგინონ მომქმედი წესებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი, აგრეთვე წარადგინონ პასპორტი გაწერის ადგილის აღნიშვნით. იმ ადგილებში, სადაც საპასპორტო სისტემა შემოღებული არ არის, პასპორტის ნაცვლად წარედგინება პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები.

3. პენსიისათვის მიმართვის დღედ ჩაითვლება ის დღე, როდესაც მიღებულ იქნა განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტით.

უკეთუ განცხადება ფოსტით არის გაგზავნილი, მაშინ პენსიისათვის მიმართვის დღედ ჩაითვლება გაგზავნის ადგილის საფოსტო შტემპელის თარიღი.

4. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებანი ვალდებულნი არიან მისცენ განმარტებები და ცხობები პენსიის დანიშვნის სიკითხებზე, აგრეთვე ხელი შეუწყონ გახმცხადებელს საჭირო დოკუმენტების მიღებაში. ამ მიზნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს უფლება აქვთ მოსთხოვონ საჭირო ნადო დოკუმენტები საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და ცალკულ პირებს.

5. ისეთ შემთხვევებში, როდესაც პენსიის დანიშვნა დამოკიდებულია ინვალიდობის გამორკვევაზე, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება განმცხადებელს შესამოწმებლად ჰგზავნის საექიმო-შრომის საექსპერტო კომისიაში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საექიმო შრომის საექსპერტო კომისიები იმყოფებიან სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო და სარაიონო განყოფილებებთან და მოქმედებენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

II. პენსიების დანიშვნა.

6. პენსიებს ნიშნავენ სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო და სარაიონო განყოფილებებთან არსებული კომისიები შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე და კომისიის წევრები—პროფკავშირული ორგანიზაციის (ძირითადი პროფკავშირისა სათანადო ქალაქსა ან რაიონში) წარმომადგენელი და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან სარაიონო საბჭოს დეპუტატი.

კომისიის შემადგენლობას დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭო.

7. პენსიის დანიშვნისათვის საჭირო შრომის სტაჟი განისაზღვრება წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე.

საჭირო დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში შრომის სტაჟს განსაზღვრავენ პენსიების დამნიშვნელი კომისიები (მუხ. 6), მოწმეთა ჩვენებებისა და სხვა ცნობების საფუძველზე.

8. კომისიები მოვალენი არიან პენსიის დანიშვნის საკითხები გადასჭრახ არაუგვიანეს ათი დღისა ყველა საჭირო დოკუმენტის (საექიმო-შრომის საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილების ჩათვლით) მიღების მომენტიდან.

კომისიის მიერ განხილული თითოეული განცხადების მიხედვით სდგება ოქმი, რომელშიაც აღინიშნება: განმცხადებლის სახელი, მამის სახელი და გვარი, ასაკი, საერთო შრომის სტაჟი, პენსიისათვის მიმართვის წინ ერთ საწარმოში ან დაწესებულებაში განუწყვეტელი მუშაობის სტაჟი, თვიური საშუალო ხელფასი, ინვალიდობის ჯგუფი (ინვალიდებისათვის), რომელი რიცხვიდან და რა რაოდენობით დაენიშნა პენსია. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

კომისიის გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნის ან პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ უნდა აცნობოს განმცხადებელს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან ხუთი დღის განმავლობაში.

9. პენსიონერს, რომელსაც პენსია დაენიშნა, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება გაუფორმებს პირად ბარათს და იმავდროულად მისცემს მას საპენსიო მოწმობას.

ყველა დოკუმენტი, რომელის საფუძველზეაც პენსია დაინიშნა, რჩება სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო ან სარაიონო განყოფილებაში და ინახება პენსიონერის საპენსიო საქმეში. ამ დოკუმენტებზე პენსიის დანიშვნის შემდეგ დაისმება შტამპი „პენსია დაენიშნა“.

განმცხადებელს, რომელსაც პენსიის დანიშვნაზე უარი ეთქვა, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება აძლევს ცნობას პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ უარის მიზეზებისა და გასაჩივრების წესის აღნიშვნით და იმავდროულად დაუბრუნებს ყველა დოკუმენტს.

10. პენსიების დამნიშვნელი კომისიების გადაწყვეტილებებზე შეტანილი საჩივრები, რომლებსაც მიიღებენ თბილისის საქალაქო საბჭოს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება (ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისიების გადაწყვეტილებათა გამო), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სოციალური უზრუნველყოფის საოლქო განყოფილება და აფხაზეთის და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები, განხილულ უნდა იქნას არაუგვიანეს ათი დღის ვადისა, ხოლო საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში შემოსული საჩივრები—არაუგვიანეს ოცი დღის ვადისა მათი შემოსვლის მომენტიდან.

საჩივრის განხილვის შედეგების შესახებ განმცხადებელს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ხუთი დღის ვადაში საჩივრის გამო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

III. პენსიების გაცემა.

11. პენსიონერებს, რომლებიც არ მუშაობენ საწარმოებსა და დაწესებულებებში როგორც მუშები ან მოსამსახურეები, პენსიებს მისცემენ სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო ან სარაიონო განყოფილებანი გასაცემი პუნქტების ან ფოსტის მეშვეობით. პენსიების გაცემის წესს დაადგენს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

12. პენსიონერებს, რომლებიც მუშებად ან მოსამსახურეებად მუშაობენ სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და დაწესებულებებში პენსიებს მისცემენ პროფკავშირები მუშაობის ადგილის მიხედვით საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით სადაზღვევო შენატანების ანგარიშში პენსიონერის ხელფასის გათვალისწინებით, მომქმედი წესების თანახმად.

იმ შემთხვევაში, თუ პენსიონერი სახელმწიფო, კოოპერატიულ ან საზოგადოებრივ საწარმოში ან დაწესებულებაში შევიდა სამუშაოდ როგორც მუშა ან მოსამსახურე, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს სოციალური უზრუნველყოფის იმ განყოფილებას, რომლისგანაც იგი პენსიას იღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, მიიღებს რა ცნობას პენსიონერის მიერ მუშაობის დაწყების შესახებ, შეაჩერებს მისთვის პენსიის მიცემას ან საფაბრიკო-საქარხნო ან ადგილობრივი კომიტეტის მეშვეობით იმ საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც პენსიონერი მუშაობს, უგზავნის ცნობას მისთვის დანიშნული პენსიის რაოდენობისა და იმ პენსიის გამოანგარიშების წესის შესახებ, რომელიც მომუშავე პენსიონერს უნდა მიეცეს მისი ხელფასის გათვალისწინებით, თანახმად მომქმედი წესებისა.

პენსიონერის დათხოვნის შემთხვევაში ადმინისტრაციამ ეს უნდა აცნობოს სოციალური უზრუნველყოფის სათანადო განყოფილებას.

იმ ოჯახებს, რომლებმაც მარჩენალი დაჰკარგეს, პენსიებს მისცემენ პროფკავშირები იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოში ან დაწესებულებაში მუშად ან მოსაცსახურედ მუშაობს იმ ოჯახის წევრი, რომლის სახელზედაც გაცემულია საპენსიო წოწმობა, თუ ამასთან თვითონ იგი არის პენსიონერი. ამ შემთხვევებში ოჯახისათვის დანიშნულ მთელ პენსიას გასცემს პროფკავშირი.

13. იმ პენსიონერებს, რომლებიც კერძო დამქირავებლებთან მუშაობენ (შინამოსამსახურეები და სხვ.) პენსიები მიეცემათ იმავე წესით, როგორც არამომუშავე პენსიონერებს, ხელფასის გათვალისწინებით, თანახმად მომქმედი წესებისა, რისთვისაც პენსიონერი ვალდებულია ყოველთვიურად წარუდგინოს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას ცნობა ხელფასის შესახებ.

14. სხვა ქალაქში ან რაიონში ახალ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლისას, პენსიონერმა ეს უნდა განუცხადოს სოციალური უზრუნველყოფის იმ განყოფილებას, რომელიც მას პენსიას აძლევს. სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება პენსიონერს მოხსნის აღრიცხვიდან, მისცემს მას პენსიას აღრიცხვიდან მოხსნის დღემდე და მისცემს ცნობას აღრიცხვიდან მოხსნისა და იმის შესახებ, თუ რა დროამდე მიეცა მას პენსია.

იმ პენსიონერებს, რომლებიც დროებით მიდიან სხვა ადგილას (სამკურნალოდ, ოჯახური პირობებისა და სხვ. გამო), პენსიები მიეცემათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (მინდობილობით) არაუმეტეს სამი თვისა.

15. ახალ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე მისვლისას პენსიონერი უნდა გატარდეს აღრიცხვაზე სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო ან სარაიონო განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ დაუყოვნებლივ უნდა გამოითხოვოს პენსიონერის წინანდელი საცხოვრებელი ადგილიდან მისი პირადი ბარათი, ხოლო თუ პენსიონერი აღრიცხვიდან არ მოხსნილა, მაშინ ცნობაც პენსიის უკანასკნელად მიცემის შესახებ. პირადი ბარათი და ცნობა გაგზავნილ უნდა იქნას შეკითხვის მიღების მომენტიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

16. პენსიონერის პირადი ბარათისა და ცნობის მიღების შემდეგ პენსიის მიცემა განახლდება იმ დღიდან, რომელ დღემდეც პენსია მიეცა წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. „საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აპრილის 23-ის დადგენილების განხორციელების საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 10 დეკემბრის დადგენილებისა „საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წ. 23 აპრილის დადგენილების 1 მუხლის გაუქმების შესახებ (სსრკ დად. კრ. 1938 წ. № 55, მუხ. 309).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 28 ივლისის დადგენილებაში „საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აპრილის 23-ის დადგენილების განხორციელებისათვის საჭირო ღონისძებათა შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 25, მუხ. 194):

მე-2 მუხლში ამოიშალოს სიტყვა „მცირესართულოვანი“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. იანვრის 21. № 93.
თბილისი.

4
РУСТ 33,35
Б,КЕ ИМЭЛ
1 1 12 СБ ГР 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Тбилисский
Библиотека
ИМЭЛ

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

ეუნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწეოილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ საბკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი", ქამოს ქ. 63.

მთავლ. № ა—479 შეკვ. № 326 ტირაჟი 1500